№ 96 მაისი 8, ოთხშაბათი 1891 მაისი 8, ოთხშაბათი № 96

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყველა განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, ი. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორი კაპეიკი.

1877—1891 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 7 მანათი და 25 კაპ.

# ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

კვირას 12 მაისს

მუშტაიდის ბაღში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართული იქმნება

სახალხო სეირნობა

ლოტარია-ალეგრითა

დაწვრილებით გამოცხადებული იქმნება აფიშებში.

---

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად ბანკის წესდების მე 79 §-სა, წლიური მორიგი საზოგადო კრება ზ. ზ. ხსენებულის ბანკის წევრთა არის დანიშნული ქ. ქუთაისს, ბანკის გამგეობის სადგომში ოცდაერთს ამა მაისისათვის, დილით თერთმეტს საათზედ.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არის:

ა) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშის გასულის 1890 წლისა.

ბ) განხილვა და დამტკიცება ბანკის ხარჯთ-აღრიცხვისა მდგომარის წლისამებრ.

გ) განაწილება იმ თანხისა, რომელიცა წმინდა მოგებიდან გადადებულია საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

დ) შეცვლა და დამტკიცება ზოგიერთთ ბანკის წესდების §§.

ე) მოხსენება ბანკის საქმეთა მართვაზე.

ვ) ზედამხედველი კომიტეტის დასკვნა 3 ივლისის გასულის 1890 წლისა ბანკის გამგეობის თავმჯდომარის კოლლესტრატე ნიკოლოზის ძ ს ჩიკვაიძის პასუხის გებაზე სამსახურისამებრ დამნაშაობის გამო, რომელიცა დაჰრჩა დაუხილველად ბანკის წევრთა მოულოდნელის კრების მიერ 30 ოქტომბერს იმავე 1890 წლისა

ზ) ამორჩევა რიგით გამომსვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის ერთის წევრისა, გამგეობის წევრის მოადგილესი და ორთა წევრთა ზედამხედველის კომიტეტისა.

---

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულს საზოგადოებას, რომ

დამზღვეველ საზოგადოების

„მოსკვა-“ს

სააგენტო ახალ-სენაკში გაუქმებულია და მამულების დაზღვევა „მოსკვა“-ს დამზღვეველს საზოგადოებაში სენაკისა და ზუგდიდის მაზრებიდგან გადატანილია „მოსკვა“-ს საზოგადოების ფოთის სააგენტოში, ვაუწყებ რა ამას „მოსკვა“-ს სააგენტოსა ბ-ნთ დამზღვეველთ და აგრეთვე იმათ, რომელნიც ისურვებენ ამ საზოგადოებაში მამულის დაზღვევას, ვთხოვ, მიჰმართონ პირდაპირ „მოსკვა“-ს დამზღვეველ საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ქალაქ ფოთში ჩემს სავაჭრო სახლში „დე-სუნდეციჩისა და ამხ.“-ის ფირმით.

ფოთელი აგენტი „მოსკვა“-ს დამზღვეველ საზოგადოებისა

გ. დე—სუნდეციჩი

(3—1)

## ახალი ამბავი

*** „ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა“ უკვე შეუდგა კედლის კალენდრის დაბეჭდვას. რადგან ამ წელიწადს დიდი მოთხოვნილება აღმოჩნდა ამ კალენდრისა, ამის გამო ამხანაგობა ეხლა ერთი სამად მეტსა ჰბეჭდავს, ვიდრე შარშან იყო დაბეჭდილი.

*** ახირებული კაცი აღმოჩენილა ჩვენს ქალაქში, როგორც ჩვენი რუსული გაზეთები მოგვითხრობენ, ზ—ს სახლში, ბულვარს ახლო, ეს რამდენიმე დღეა თურმე სახლის პატრონი გამწარებული ათხრევინებს მიწას თავისს ეზოში. რა მინდაო? თურმე ზ. კასპიის იქითა მხარეს ყოფილა თავისის ოჯახობით. ერთს ღამეს იმის ცოლს სიზმარი უნახავს, ვითომ ტფილისს იმის სახლის ეზო-გალავანში მთელი აუარებელი სიმდიდრეა ჩამარხულიო. რასაკვირველია, სიზმარი ცოლს ქმარისთვის გაუზიარებია. საჩქაროდ აბარგებულა ეს სახლობა და ჩამოჰრილა ქალაქს. აქ თურმე მოუწვევიათ მღვდელი, გვიკურთხეთ „საქმის დაწყებაო“, და შესდგომიან კიდეც ამ „საქმეს“. თუმცა ეზო-მიდამო თითქმის სულ მთლად გადაუთხრია სიმდიდრის მოყვარეს ზ—ს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ნიშან-წყალიც არა სჩანს თურმე ამ მოსალოდნელის სიმდიდრისა. თხრა ჯერ კიდევ არ შეუწყვეტიათ და ვნახოთ, რას ამოთხრიან ეს ახირებულნი ცოლ-ქმარნი...

*** ამას წინადაც ვამბობდით, რომ მეტად გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან ჩვენს ქალაქში სულით ავადმყოფნი და არა აქვთ ისეთი ადგილი, რომ თავი შეაფარონო. ამის დასასაბუთებლად ერთი ამბავი ამოვიკითხეთ გაზ. „ტფ. ლისტ.“-ში. „3 მაისს ჩამოიყვანეს ქალაქშიო,—ამბობს გაზეთი: —ერთი სულით ავადმყოფი, გვარად საიფოვი. წინა დღით საიფოვი გასულა სახლიდგან და აღარ დაბრუნებულა. თურმე საბრალო საიფოვი მახათას მთას იქით გადასულა და სოფ. ავჭალისაკენ წასულა. გზაში მეცხვარის ძაღლები დაჰხვევიან და მთლად დაუკბენიათ, განსაკუთრებით ფეხები. მწყემსები რომ არ შესწრებოდნენ და ძაღლები არ გაერეკ-გამოერეკათ, ვინ იცის, რით გათავდებოდა თურმე საქმე. მეორე დღეს ნათესავებს შეუტყვიათ ეს ამბავი, წასულან და დაკბენილ-დასისხლიანებული საიფოვი, თუმცა-კი, ცოცხალ-მკვდარი უპოვნიათ მინდორში. მწყემსებს ძაღლები მოეშორებინათ, მაგრამ მინდორშიკი დაეგდოთ საბრალო საიფოვი.

*** სახელმწიფო რკინის გზების დროებითს მართველობას შეუმუშავებია პროექტი საზოგადო დამხმარებელ და საპენსიო კასის წესდებისა რკინის გზებზე მოსამსახურეთათვის. ეს პროექტი მმართველობას წარუდგენია გზათა სამინისტროს საბჭოში და ამ საბჭოს მოუწონებია კიდეც.

პენსიას იმ შემთხვევაში დაუნიშნავენ რომელსამე მოსამსახურეს, თუ ის ველარ მუშაობას შესძლებს ან მოხუცებულობის გამო, ან ავადმყოფობისა და დაშავების გამო, აგრეთვე მაშინაც, თუ რომელსამე გზაზედ 15 წელიწადზედ ნაკლებ არ უმსახურნია და კასაში მონაწილეობა ჰქონია. ავად-მყოფობისა თუ ოჯახში ვისიმე გარდაცვალებისა გამო კასიდამ შემწეობა მიეცემა მუშას იმ შემთხვევაში, თუ იგი მსახურებს და კასაში შევიდს წელიწადზედ ნაკლებ არა ჰქონია მონაწილეობა მიღებული. კასის თანხა ასე უნდა შესდგეს: რკინის გზის წმინდა მოგებიდამ გადაიდება რამდენიმე ნაწილი, და ამას გარდა მოსამსახურეთა ჯამაგირიდგან—$1\frac{1}{2}$%. თუ კასაში მონაწილე გარდაიცვალა, იმისი პენსია მიეცემა იმის ქვრივსა და ობლებს.

*** პეტერბურგში მალე კრება უნდა მოხდეს ცეცხლისაგან დამზღვეველ საზოგადოებათა მეაქციზეებისა. ამ კრებაზედ ხელახლად უნდა აღძრან ლაპარაკი იმის შესახებ, რომ შეამცირონ დასაზღვევი გარდასახადი იმ მამულებისა, სადაც მილის წყალი არის გაყვანილიო.

*** გასულს კვირას, ამ თვის 5, იოსებ ბაქრაძემ დიდუბეში სახალხო დოღი გამართა.

ჯერ გავიდა ხუთი ცხენი და ბაირაღთან პირველად ავეტიქ სუმბონოვის ცხენი მივიდა; ორი ვერსი გაირბინა 1 წუთსა და 8 წამში, საჩუქრად პატრონმა მიიღო ექვსი მანათი. შემდეგ მოვიდა ხოჯაევის ცხენი და საჩუქრად ამის პატრონმა აგრეთვე ფული მიიღო. გამოიყვანეს კიდევ ორი იორღა ცხენი ბ-ნი სეიმონოვისა და ბ-ნ მამადხანისა. ამ უკანასკნელის ცხენი კარგი იორღა გამოდგა და პირველად მოვიდა ბაირაღთან: ორი ვერსი გაირბინა 4 წუთსა და 37 წამში. შემდეგ ბ-ნ იგიდხანოვის ეტლი გამოვიდა და ერთს ვერსს შემოურბინა 1 წუთსა და 33 წამში. ეტლის პატრონმა არა მიიღო-რა, რადგანაც მისს ეტლს ერთი ვერსი უნდა შემოერბინა ერთს წუთში და 33 წამი დაიგვიანა. შემდეგ გამოიყვანეს ხუთი აქლემი. პირველად მოვიდა მამად აბდულა ოღლის აქლემი, და პატრონმა საჩუქრად სამი თუმანი მიიღო. მეორედ მოვიდა ბაირამ ახმედ-ოღლის აქლემი და პატრონმა საჩუქრად 15 მ. მიიღო. ბოლოს გამოვიდა ოთხი ახალგაზ. და ყმაწვილი კაცი. ამათთაგან საჩუქარი მიიღო ბ-ნმა ჩიქოვანმა, რომელმაც ერთი ვერსი შემოურბინა 5 წუთსა და 17 წამში.

*** გასულს კვირასვე, ამ თვის 5, დილით საფოსტო და სახალხო მატარებლით ტფილისში ჩამოიყვანეს „კონდუქტორი“ აზნაური ალექსანდრე პოპოსკირი, რომელიც სადგურს აქსტაფაში საქონლის მატარებლის ქვეშ ჩავარდნილიყო და მარჯვენა ფეხის წვივი მოეტეხა.

*** მომავალს შაბათს, მაისის 11-ს, მთვარე დაბნელდება, როგორც კალენდარი ამბობს, დაბნელება დაიწყება საღამოს 6 საათსა და 35 წუთს და გათავდება ღამის პირველ საათის 12 წუთზედ.

*** ერევნის მოედანზედ რომ პატარა ბაღია, აქამდე ორი კარი ჰქონდა: ერთი სემინარიის მხრით, მეორე—ქარვასლის მხრით. ჯერ მაშინაცკი სთხოვდნენ ქალაქის გამგეობას კიდევ ორის კარის გაკეთებას, როცა მოაჯირს უკეთებდნენ ამ ბაღს, მაგრამ არ შეისმინეს ეს თხოვნა. შემდეგში დარწმუნდნენ, რომ ამისთანა ადგილას მართლა საჭიროა ბევრი კარიო, ეხლა გაუკეთებიათ კიდევ ერთი კარი მესამეს მხრით და მეოთხე მხარე მაინც დაუგდიათ.

*** ს. მეჯვრისხევი (გორის მაზრა): ღვთით გაზაფხულმა ჩვენსკენაც კარგის თვალით გადმოიხედა: ყანებს კარგი პირი უჩანთ, ვენახები უკეთესს მოსავალს გვპირდება. მას აქეთ, რაც აქ თორმეტი კაცი ამოირჩიეს ქურდობის მოსასპობლად, ქურდობაც თითქმის შესწყდა.

*** ქარელი: ქარელში ამ თვის სამს დილით რთვილი გააგდო. ვაზი ძალიან დაზიანა, აგრეთვე ბაღებიც. ყანებს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. თუ პურის მოსავალმაც გვიმტყუნა, დაღუპვით დავიღუპებით. ხეხილი ძალიან წაახდინა აპრილის სიცივეებმა და ყინვამ.

*** ცხინვალი: მშვენიერად მოჰქონდა ვენახებსა და ხეხილს, მაგრამ მაისის პირველს რიცხვებში დაჰკრა რთვილმა და სრულიად მოფშვნიტა ნორჩი ყვავილი და კუკური. ასეთივე საქმე ბევრს სხვა სოფელსაც დაემართებოდა. ხალხი ძალიან სწუხს და გულ-დაწყვეტილია ამ ამბის გამო.

*** ქართლი: ყველას კარგად მოეხსენება, რომ საზოგადოდ ქართლში ქურდ-ბაცაცობა და ავაზაკობა ძლიერ გახშირებულია, მაგრამ ისეთი თავ-წასული ავაზაკობა-კი, როგორიც ამ თვის ოთხს მოხდა ბერძენაულსა და გომს, კარგა ხანია არ მომხდარა. მაისის ოთხს, საღამო ხანზე, იქნებოდა მესამე საათი შუადღის შემდეგ, რომ ს. ბერძენაულის ჩთაერის შვილი, გვარად ახალ კაცი ორის მეგობრითურთ და ერთის გლეხ-კაცით ქარელისკენ გაემგზავრნენ. სოფელს გამოსცდნენ თუ არა, შემოეყარათ სამი შეიარაღებული კაცი. შეუტიეს ახალკაცს „გადმო ძაგ ცხენიდგანაო“? ახალკაცი გაუძალიანდა ავაზაკებს და ცხენს არ ანებებდა. „როგორ თუ გვეძალიავრებიო“? შესძახა ერთმა ავაზაკმა, თოფის კონდახი დაარტყა თავში და ზედ

გადაამჩხვრია; მეორე ავაზაკიც მოეშველა და საბრალო ახალკაცს დაუწყეს ცემა-ტყეპა. ცემასაც აღარ დააჯერეს და მესამემ თოფი დაუმიზნა სასროლად, მაგრამ მისცვივდნენ ხელში ახალკაცის მეგობრები, კვალიაშვილი და ხატისკაცი, დაუჩოქეს ავაზაკებს და სთხოვეს: ეს ერთი გვიპატიეო; ავაზაკებმა შეიწყნარეს თხოვნა მათი და თავი დაანებეს. ხსენებული ყაჩაღები ოსები ყოფილან, ცნობით-კი ვერავინ იცნეს.

შემდეგ ამისა ავაზაკები სოფელში შევიდნენ; ერთი ახალგაზდა გლეხის, გვარად გიგლა ლეინიაშვილის, სახლში შეცვინდნენ და წაართვეს საქორწილო ახალი ტანისამოსი. პეტრე მარეველაშვილის ბაკიდგან გამორეკეს ძროხა და კვებულა. ხალხი თუმცა თვალით უცქეროდა ამ ამბავს, მაგრამ ძალა ვერა იხმარეს-რა, რადგანაც არაფერი იარაღი არა ჰქონდათ-რა სოფლელებს, ხოლო ავაზაკები ყველანი იარაღით შელესილნი იყვნენ.

მაისის ოთხს ღამით იმავე ავაზაკებმა მოიპარეს ს. გომში ორი ცხენი: ერთი ფალავანდიშვილისა და მეორე — აზნ. ს. რამინიშვილისა. გაიგეს თუ არა ცხენების დაკარგვა, პატრონები დაედევნენ ქურდებს, მაგრამ ცხენების წართმევის მაგიერად, ყაჩაღებმა ორთავენ მძიმედ დასჭრესი.

*** სააბაშიო. წრეულს როგორც სხვაგან, საბამიოშიც არ იყო დიდი ზამთარი. მომეტებულ ნაწილად კარგი ამინდები იდგა და საქონლის საკვებიც შარშანდელსავით ძვირი იყო. გაზაფხულიც რიგიანი და შესაფერი იყო ახალ-თესლისა, დიკისა და სიმინდ-ლობიოს სათესად. თუმცა წრეულს აქ თოვლი ძლიერ ცოტა იყო მაინც ჩვენი ყანები საამურად ბიბინებს და თუ ცოტაოდენი თბილი წვიმიანი ამინდები დადგა, კარფი მოსავალი მიგვივა.

*** ქუთაისიდგან გვწერენ, რომ აქაურ უფასო საქალებო სკოლის სასარგებლოდ ამ თთვის 20-26 რიცხვებში გამართული იქნება ლატარია-ალეგრი.

როგორც ვიცით, წინადაც გაუმართავთ ამ ერთად ერთის ღარიბ ქართველ ქალთა სკოლის სასარგებლოდ ალეგრი და ქუთაისის საზოგადოებას შესაფერი დახმარება აღმოუჩენია თუ ფულით და თუ ნივთიერად. იმედი უნდა გვქონდეს, რომ წელსაც არ მოაკლებს საზოგადოება შემწეობას ამ სკოლასა და თავისს წვლილს არ დაიშურებს ამ კეთილის საქმისათვის.

*** ბათუმში ჩამოსულა ინგლისელი მეცნიერი ბუნების-მეტყველი ბ-ნი ჯონსონი, რომელიც კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილსაც დაივლის, რომ ჩვენი მხარე ეტნოგრაფიულად გამოიკვლიოს და შეისწავლოს. ბ-ნი ჯონსონი გამოჩენილი ლინგვისტია. ე. ი. ენების მცოდნეო, — სწერს გაზ. „კავკაზ-ს“ ბათუმელი კორესპონდენტი და შარშან ზაფხულს ყირიმში მოგზაურობის დროს ძვირფასი საეთნოგრაფიო მასალა შეჰკრიბაო; განზრახვა აქვს ამ მასალას დაურთოს ის მასალაც, რომელსაც კავკასიის შესწავლის დროს შეჰკრებს, და შემდეგ ჰსურს ერთ დიდ თხზულებად გამოსცეს, რომელშიაც მოქცეული იქნება კავკასიის მკვიდრთა სხვა-და-სხვა ზნე-ჩვეულება.

წერა-კითხვის საზოგადოებას მოუვიდა კიდევ შემდეგი ნივთები ლატარია-ალეგრისათვის:

ა) კნეინა მარიამ გახტანგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანისაგან — ბროლის სარკე, სტოლზე დასადგმელი, საათი და ლიკიორის იარაღი.

ბ) კნეინა ბარბარე გიორგის ასულის ბარათაშვილისაგან — ორი ბროლის ბადია და მეერცხლილი ქისა.

გ) მელანია გიორგის ასულის წილოსნისაგან — აბრეშუმის ბალიში და ექვსი ნაქსოვი სხვა-და-სხვა ფასის ნივთი.

დ) N ქალისაგან — ერთი დუჟინი ბატისტის ხელსახოცი და ქოლგა.

ე) კნ. ბარბარე ავალიშვილისაგან საწერლების ბუდე და ფაიფურის სურა.

ვ) ბარბარე ბატონოვისაგან — მძივით ფერად-ფერადად ნაკერი პაპიროსის ჩამოსაკიდი და ორი ოლეოგრაფიული სურათი.

ზ) ელენე ყორღანიასაგან — ოთხი ძველი ხუთ-ხუთ მანათიანი და ერთი ნაქსოვის სათუთუნე ქისა.

ტ) კოტე ბადაშვილისაგან (ცილბაღიდგან) — ერთი ხავერდისა და ფარჩის ბალიში, წერილების ჩასაწყობი აბგა, ერთი ნაკერი ყვავილი და ერთი ნაკერი პეპელა.

თ) გახტანგ დ-მე თუღაშვილისაგან — 12 ოლეოგრაფიული დიდი სურათი პროფესორთა: მაკოვისა, შიშკინისა, იაკობისა, ბალდანოვისა და სხვათა.

*** კავკავიდამ სწერენ „ნოვოე ობოზრენ — ს“, ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა ამერიკელი არხეოლოგი, რომლიც ამერიკის ქალაქის ნიუ-იორკის ერთის გაზეთის რედაქციას გამოუგზავნია თავის კორესპონდენტად ჩვენს მხარეში სამეცნიერო აზრით. კავკავში მისვლისათანავე ამ მოგზაურს მიჰსევიანთ ძველის ნივთების პატრონები და უძლევიათ სასყიდლად საარხეოლოგიო ნივთები. უცხოელი არხეოლოგი თურმე დიდის სიამოვნებით ჰყიდულობს ამ ნივთებს, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ უთუოდ უნდა მიჩვენოთ ის ადგილი, საიდაც ამოღებულია ეს ძველი ნივთიო. ეს უცხოელი კასპიის იქითა მხარესაც აპირებს გამგზავრებას.

*** ტფილისში: სომეხთა რამდენსამე ნასწავლს ახალგაზდას განუზრახავს ფული შეჰკრიფონ და სამეცნიერო აზრით გაემგზავრონ ყარაბახისაკენ ამ მხრის გამოსაკვლევად და შესასწავლად გეოგრაფიულად, ეთნოგრაფიულად, ისტორიულად და არხეოლოგიურად. ამ საქმის მოთავედ საქმის მცოდნე კაცები არიანო — ამბობს გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, — და თან ფოტოგრაფიც მიჰყავთ აქედგან, რომ ყარაბაღის სხვა-და-სხვა ადგილის სურათი გადაიღებინონო. შუშის ვაჭარს სომხებსაც აღუთქვამთ ფულით დახმარება, ასე რომ იმედი აქვთ ამ აზრ მოკლე ხანში განახორციელებენო.

*** მაისის 6, ღამის ორს საათზე, კუკიის ხიდის ყურზედ აღა ბათიევს მოუნდა გასაქურდავად სიღნაღის მცხოვრებლი არტემ ივანეს ძე არუთინოვი, მაგრამ მალე მიუსწრო პოლიციელმა და შეიპყრო. ქურდს აღმოაჩნდა რამდენიმე გასაღები ერთად შეკრული და აგრეთვე რკინის გატი.

*** 5 მაისს, დილის 8 საათზე, პოლიციის მეშვიდე ნაწილში კაკაკის პოლკის ჯარის კაცს აბრამ არამეზიკს მტკვარზე სარეცხის გარეცხა უნდოდა და ჩაზარმის კედლიდგან ჩამოცოცების დროს ხელი მოუსხლტა ძირს დაეცა და სასიკვდილოდ დაშავდა.

*** ამავე დღეს, ღამის 10 საათზე, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად იპოვნეს ორი კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 4 მაისს რიყეზე ტფილისის მცხოვრებლმა ხეჩო ახვერდოვმა უეცრად დანით დასჭრა თბილისისავე მცხოვრებლი გიგოლა სარიევი.

---

## მეთორმეტე „კლასის“ მოხელენი ტფილისში.

საზოგადოდ ჩვენს ქალაქებში და კერძოდ-კი ტფილისში სადგომ-საცხოვრებელი სახლები ძლიერ ძვირად ჰქირავდება. მეტადრე თუ რიგიანსა და კარგს ადგილზედ არის სახლი აშენებული, ისე ძვირია სახლი, რომ მეთორმეტე „კლასის“ მოხელეს არ შეუძლიან თავისის მცირე ჯამაგირით დაიქირაოს ორი-სამი ოთახი და იცხოვროს; ცოლ-შვილიანი იქნებიან, თუ უცოლშვილონი იძულებულ არიან ერთს ოთახში მოთავსდნენ. მეთორმეტე „კლასის“ მოხელეთა შორის ყველაზედ სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფებიან ტფილისში დეპეშის მოხელენი, რომელთაც, შედარებით სხვებზედ უფრო მცირე ჯამაგირი აქვთ. იმათს ამგვარს შევიწროებულს ცხოვრებასა და გარემოებას მთავრობამ ყურადღება მიაქცია და დაადგინა, რომ ქალაქმა უნდა მისცეს შემწეობა ამ მოხელეებსაო. მართლაც ქალაქი რიგიანადა და წესიერად ყოველს თთვეს აძლევდა „დეპეშის“ მოხელეებს ზოგს რვა მანათს, ზოგს თუმანს, ზოგს თხუთმეტს და ზოგსაც კიდევ მეტსა; ეს მეტ-ნაკლებობა დამოკიდებული იყო მოხელის ადგილის ღირსებაზედ. ქალაქს მოსწყინდა ყოველს წლივ დეპეშის მოხელეების ფულების ძლევა და ამ სამის წლის წინად უარი განაცხადა, ველარ გადავიხდით მაგ ფულსაო. მთავრობამ ეს უარი არ იყაბულა, შარშან ქალაქს სამის წლის ფული ერთად გადაჰხდა, და დეპეშის მოხელეების სასარგებლოდ.

თუმცა ქალაქმა ასე ერთბაშად გადაიხადა რამდენიმე ათასი მანეთი ფული ხსენებულ მოხელეების სასარგებლოდ, მაინც შარშანვე ღვინობის თთვეში ხელ ახლავ უარი, უთხრა „დეპეშის მოხელეებსა“ მაგ ფულს ამიერიდგან ნულარ ელით ჩვენგან და ეხლა საგუბერნიო მმართველობას მიჰმართეთო. საგუბერნიო მმართველობაც კიდევ, თავის მხრითაც, მგონი, უარს აცხადებს, რომ ეს ფული აძლიოს „დეპეშის“ მოხელეებსა გააბეს ორივემ ერმანეთში მიწერ-მოწერა და ამასობაში მოხელეები-კი კოზაკსავით შუაში იქულიტებიან, რადგან ერთი თთვეა, რაც ეს სადგომის ხარჯად წოდებული ჯილდო აღარავისთვის მიუციათ. ამ ჟამადაც მიწერ-მოწერაა გაჩაღებული და ღმერთმა უწყის, როდის გათავდება საქმე.

სააბაშიოელი.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

„ივერიის“ № 91-ში წავიკითხე შენიშვნა შესახებ ქალაქის ჩარჩებისა და სავაჭრო პოლიციის მოხელეებისა; სოფლიდამ ჩაგოტანილს ყველს ჩარჩები იტაცებენ, რადგან დილა-ადრიანად ვითომ-და მოედანზედ ყურის მგდებელნი არა ჰყავთ, და შემდეგ ისინი ძვირად ჰყიდიან მოქალაქეებზედაო. ალსადგენად სინამდვილისა ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ამაზედ. რაიცა შეეხება ჩარჩების მოქმედებას, ეს ერთის მხრით მართალია, მაგრამ ისინი შიგ ქალაქის ფარგალში მაგდენს ვერას ახერხებენ, რამდენსაც ქალაქს გარედ ჩუმად სჩადიან, მაგრამ რა ჰქმნან პოლიციის მოხელეთ, როდესაც ჩარჩხავით ტრიალებენ, მუდამ დღე სხვა დასხვა ადგილას სოფლიდამ გასასყიდლად მოტანილს ხორაგაულობას სჩხრეკენ, აფორთხილებენ პატრონებს, ნებას ხუძისცემთ ჩარჩებს ვაჭრობისას, უხვდებიან გზებზედ, როგორც ქალაქს იგნით, ისე ქალაქს გარედაც იქეოენ და ეჭეკებიან მოედანში, დილით გათენებისას მიდიან თავიანთა საქმეზე და აბლოს არ უშვებენ ჩარჩებს, თუმცა ყურის საგდები საქმეები სხვაც ბევრი აქვთ; მამასადამე ყველის სიძვირე არ უნდა მიეწეროს სავაჭრო პოლიციის სუსტ მოქმედებას. ან კი რა სიძვირეა წრეულს, როდესაც ფუთ

---

# ფელეტონი

## საქართველო.

საქართველო ველურს ქალს ჰგავს,
საპატარძლოდ მოკაზმულსა;
კავკასის მთა, რომ ადგა თავს,
ჰგავს დევ-გმირსა, მის დამცველსა.

—

აქ უწვრეტავ შეფუთქვნილს ვარდს,
გარდამლილსა მიწის ფერად,
გაიქარვებ გულიდგან დარდს,
როს ბულბული დაჰყეფს ტკბილად;

—

ბუჩქნარებში იქით ჰხედავ
ზამბახს, იას შეკონილსა,
ზეფირი. რომ ზედ დაჰქროლავს,
უგმევს უკვდავს სურნელს სუნსა.

—

კლდიდან წყარო მოჩქრიალე
ველს ალმასებრ ეფინება:
დამაშვრალსა და მწყურვალეს
უკვდავებად ეგემება.

—

არც აკლია მას სიმდიდრე,
არც ხიჭი და არც გოხება,
თუ ედირსა ცოტა ადრე,
რასაც გულით ელოდება...

—

სამოთხეა ან ედემი,
ღვთის საკურთხი სიუხვითა,
და სიცოცხლე აბა ჩემი
როგორ იყოს სხვაგან, ვითა?

—

მრავალ გვარი არშიყები,
მუდამ ტურფას შემოსტრფიან,
მაგრამ მისი ქართველები,
უმადურები არ არიან.

—

წყნა, გლეჯა, მწუხარება,
მისთვის რა არ აიტანეს,
ტანჯვა, ლანძღვა, მუხარება,
რაყიფს თავსვე მიაყარეს.

—

იმ სიყვარულს რა აღმოჰფხვრის,
რაც გულში ჩანერგილია!
ოდეს დრო მიწას დააყრის,
ის დღეც კი მისთვის ტკბილია...

—

მაშ, ტურფაო საქართველო,
ფესვს გაიდგამ მკვლებურად,
რომ კვლავ თავი ისახელო,
ტრფიალთ გახდი ფერხთა მტვერად!..

ბარბარე ჯორჯაძისა.

---

## ჩვენი დედაკაცები და ახალი დრო

(დასასრული წინასიტყვაობისა. იხ. „ივ.“ № 95)

არ უნდა დავივიწყოთ, რომ დიდებული საკულტურო და საზოგადოებური საქმე დიდებულისავე, წარმატებულის ღონისძიებით უნდა გაკეთდეს. ეს აზრი საკმაოდ კარგად ესმის ეხლანდელს ევროპიელს მუშა კაცს. იგი ეტანება წარსულს დამოუკიდებლობას წინანდელის ხელოსანისას იმ იარაღის შემწეობით, რომელიც ევროპის ეხლანდელს განათლებას გაუჩენია და ამავე დროს სრულიადაც არ უარ-ჰყოფს კაცობრიობის ქონებრივსა და გონებრივს შენაძენსა და ძოხალყაწევს მთელს იმ ისტორიულ ხნის განმავლობაში, რომელსაც დღევანდელის თავის ნატვრა-სურვილის მიხედვით უარ-ყოფით უყურებს. მის სანატრო-სასურველის ზოგიერთი თვისება წარსულს მოაგონებს ადამიანს, ხოლო ყოველივე დანარჩენი გარემოება-კერძოობანი სამერმისო წესწყობილებისა, რომლის შესახებაც დღეს იგი ოცნებობს, აწმყოს ნიადაგზეა აგებულ აშენებული.

ამ სახით, მერმისი აწმყო არ არის, მით უმეტეს არც წარსულია. იგი მერმისი მეწყობილი კავშირია წარსულისა და აწმყოსი, ისეთი კავშირი, რომელიც არა ჰგავს არც ერთს თავისს ნაწილს: უმთავრესი მისი შინაარსია ის ახალი, იდეალით მოცილი დასაბამი, რომელიც ჩიდება აწმყოს ნიადაგზედ წარსულის ანდერძების ზედმოქმედებით და რომელიც წინად არა სჩანდა და არ არსებობდა არც წარსულში და არც აწმყოში. თუ ნებას მომცემთ დასურათებით გამოვსთქვა ეს აზრი, ვიტყვი, რომ მერმისი იგივე თხზულება-კი არ არის, რომელიც ხელმეორედ იქმბა დაბეჭდილი, არამედ ისეთი თხზულებაა, რომელიც დიდის ცვლილებით, შეკეთებითა და შევსებით არის ხელმეორედ დასტამბული და ამის გამო სრულიად არა ჰგავს იმავე, წინად რამდენჯერმე გამეორებით დაბეჭდილს, თხზულებასა.

წარსულსა და აწმყოს შორის თითქო ერთ გვარი ქიშპობა-ბრძოლა არსებობს. გამარჯვებული ამ ბრძოლაში რჩება, რასაკვირველია, აწმყო თუნდა მარტო იმიტომ, რომ წარსულის შემდეგ მოდის და მის ადგილს იჭერს. ჰეგელის ტერმინოლოგია რომ დავიმველიოთ, ასე უნდა ვსთქვათ: აწმყო უარ-ყოფაა წარსულისა, ხოლო მერმისი — შერიგება და უმაღლესი განზოგადებაა (სინტეზი) ამ ორის ერთიერთმანერთის წინაამღდეგის და მუდამ ერთმანერთის მოქიშპე დასაბამისა. ამ შერიგებას ამზადებს და ახერხებს თვით აწმყო მით, რომ ეწინააღ-

ყველის ფასი ორის მანეთიდამ სამს მანეთს ზემოდ არ ადის, და შარშან შარშან წინ და იქით წლებში კი ფუთი ყველი ხუთ მანეთად იყიდებოდა. მაშ ეხლა უფრო დიდი სიიაფე ყოფილა ყველისა ვიდრე წინად. მიზეზი არ არის გარწმუნებთ სხვა ამ სიიაფისა, გარდა სავაჭრო პოლიციის მიერ კარგად ყურისგდებაც. ეს ხომ ასეა, მაგრამ ზოგი მაინც გაიძახის: უფრო მეტი იაფობა უნდა იყოსო. როგორ შეიძლება ბატონებო? სოფლის ხალხს მუქთად ხომ არ წავართმევთ სარჩოს; თუ გზის ხარჯს ცოტაოდენი რამ არ გადაარჩინეს, ხომ არავინ არას ჩამოიტანს აქ გასასყიდად; ან ვინ იქნება ისეთი უჭკუო, თუ არაფერი ხეირი არ ექმნება, შრომა მიიღოს და შინ ცარიელ-ტარიელი დაბრუნდეს. ამ სახით მე მგონია ბევრად უკეთესი იქმნებოდა ნაცვლად სავაჭრო პოლიციის მოხელეთა სიზარმაცისა, მოგვეხსენებინად, წრეულს მაინც, მათი სიმხნე, რადგან მხოლოდ მათის წყალობით გაიაფდა, მეტადრე სააღდგომოდ, ყველი, კვერცხი და სხვა მრავალი სოფლის ნაწარმოები.

სავაჭრო პოლიციის ზედამხედველი
ისიდორე იოსავა

---

## წვრილი ამბები

21 აპრილს ფრიდრიხ კენიგს, რომელმაც მწრაფლ-მბეჭდავი მანქანა მოიგონა, ეისლებენში (გერმანია) ძეგლი აუგეს. კენიგმა თავისის მოგონებით კაცობრიობას დიდი სამსახური გაუწია და ამიტომ არა გვგონია, უადგილო იყოს, რომ ამ ღირსაცხოვის კაცის ცხოვრების შესახებ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ. კენიგი დაიბადა 17 აპრილს 1775 წელს. რვა წლისა იყო, როცა გიმნაზიაში მიაბარეს. 1790 წელს გამოვიდა გიმნაზიიდგან და, ბიძის რჩევით, სტამბის საქმის შესწავლას მიჰყო ხელი ლეიპციგში, სადაც ერთს სტამბაში ასოთ ამწყობად მიებარა. მოცალეობის დროს ხიჭიერი კენიგი ბეჯითად კითხულობდა ფრანგულს თხზულებებს. ამასთანავე განთქმულის ანთროპოლოგის პროფესორის პლატნერის ლექციებზედაც დიდის ხალისით დადიოდა. ამას შემდეგ ძალი თავისი მალდონე და უხვი უცხო ენათა შესწავლას, ფილოსოფიისა და სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის საფუძვლიანად გაცნობას მოანდომა. ამას გარდა ერთის წლის განმავლობაში ლეიპციგის უნივერსიტეტში დადიოდა და იქ ლექციებს ისმენდა. დედის სიკვდილს შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და გისლებენში წიგნის მაღაზიის დაარსება სცადა, მაგრამ ეს ცდა იაფად არ დაუჯდა კენიგს: მთელი თავის სარჩო სახადებელი ამ საქმეზე წააგო და თვითონ ხელ ცარიელი დარჩა. რაკი აღარავფრის შეძლება აღარა ჰქონდა, მოგზაურობა დაიწყო. იმოგზაურა ვენასა, პეტერბურგსა და ლონდონში. სტამბაში მუშაობის დროსვე იყო დარწმუნებული, რომ მაშინდელი სასტამბო მანქანები უვარგისი იყო და ამ უვარგისობას რამე წამალი უნდა დასდებოდა. ამ აზრით კენიგმა ხელ-მიწყებით შეისწავლა მათემატიკა და ტეხნიკა და კიდევაც შეიმუშავა გეგმა ახალის მანქანის გაკეთებისა, მაგრამ კენიგმა ამით ბედნიერება ვერსად ვერ მიიღო და რუსეთს გაემგზავრა. სამწუხაროდ იქაც უარი უთხრეს და მეტი ღონე არ იყო, ბედის საცდელად ინგლისს უნდა წასულიყო. ამ ახგარიშში კენიგი არც მოსტყუვდა. ინგლისში ის დიდის ამბითა და აღტაცებით მიიღეს. მისცეს ყველაფერი, რაც-კი საჭირო იყო იმის აზრის განსახორციელებლად. გაზეთის „Timesis“ გამომცემელმა ვალტერმა პირველად შეუკვეთა კენიგს ორი მის მიერ ახლად მოგონილი მწრაფლ მბეჭდავი მანქანა და 29 ნოემბერს 1814 წელს ეს გაზეთი პირველად დაიბეჭდა ამ მანქანაზე.

კენიგის ძეგლის წინა მხარეზე შემდეგი წარწერაა: „მსწრაფლ-მბეჭდავის მანქანის მომგონს ფრიდრიხ კენიგს“:

— ედისონი, რომლის სახელი და ნიჭი ყოველგან განთქმულია, როგორც ათათასის სხვა და სხვა გვარის მანქანის მომგონისა, დღეს თავის ნიჭს ლიტერატურის საქმეშიაცა სცდის თურმე. ის ამ ჟამად ცნობილის ამერიკელის მწერლის პასანგ ლატრონსომის თანამშრომლობით ერთს ორ ტომიანს რომანსა სწერს. როგორც ამბობენ, ეს რომანი შემდეგ დრამად უნდა აქციონ.

---

## დეპეშა

### 4 მაისი

მოსკოვი. მოსკოვში დაარსებულის ნიკოლოზის საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის დეპეშაზე მემკვიდრე ცესარევიჩმა უპასუხა: „გმადლობთ თანაგრძობისა და გულმტკივნეულობისათვის. ჭრილობა ჩქარა მირჩება.

ბუქარესტი. დღეს გარდაიცვალა მინისტრად ნამყოფი ბრატანიო.

### 5 მაისი

პეტერბურგი. იაპონიიდგან მიღებულ ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, რომ ბოროტ-განმზრახველი, რომელსაც ჰსურდა მემკვიდრე ცესარევიჩი მოეკლა, ადგილობრივი მცხოვრები ყოფილა, სახელად ტუდა და 8 წელიწადია თურმე, რაც პოლიციაში ემსახურება. როდესაც ცესარევიჩი ამალითურთ ქალაქ ოტსაში ხელის ეტლებით მიბრძანდებოდა, იქვე მდგომი პოლიციელი ტუდა მიჰვარდა მის უმაღლესობას და ხმალი დაჰკრა თავში. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის პრინცმა გეორგმა ჯოხი დაჰკრა ბოროტ-განმზრახველს, იგი ხელ მეორედ გაექანა ცესარევიჩისაკენ, მაგრამ იმ იაპონიელმა, რომლესაც მემკვიდრეს ეტლი მიჰქონდა, უკან გადმოაგდო. ამ დროს მეორე მეეტლემ წაქცეულს ბოროტ-განმზრახველს ხმალი წაართვა ხელიდგან და დასჭრა-კიდეც მძიმედ. ცესარევიჩს ჭრილობა უკვე მოურჩა.

„Гражд.“-ს გაუგონია, მინისტრთა კომიტეტმა გარდასწყვიტა, ვიშუამდგომლოთ, რომ საბერძნეთის პრინცი გეორგი დააჯილდოვონ შემდეგ წარწერიანის მედალითაო: „გადარჩენისათვის რუსეთისთვის ძვირფას სიცოცხლისა“.

„Нов. Вр.“ იუწყება, სახელმწიფო საბჭომ გაათავა განხილვა სადამოჟნო ტარიფისა და მხოლოდ რამდენიმე მუხლი შეიწყნარა კომისიის დადგენილებისა შესამჩნევ ცვლილების მოუღებელად. სახელმწიფო საბჭომ განსაკუთრებით ის გარდასახდები შეამცირა, რომელიც კომისიას რუსეთის მეურწველობისთვის საჭირო მასალაზე დაედო და სხვათა შორის ბამბაზე დადებული გარდისახადიც. რადგან შესაძლოა, რომ ვექსილის კურსმა შესამჩნევად აწია-დაიწიოს, ამიტომ აპირობენ, განსაზღვრონ კურსის რაგვარ აწევ-დაწევის დროს უნდა გადასწორდეს ხოლმე ტარიფში აღნიშნული გარდასახადი. ეს საგანი უნდა შემუშავდეს ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებულს საბჭოში და შემდეგ აქ სესიასავე წარედგინება დასამტკიცებლად საკანონმდებლო წესით.

„Моск. Вѣд.“-ი იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარი გაუგზავნა გუბერნიების საადმინისტრაციო და სხვა დაწესებულებათ და დაავალა, სწორედ ასწერეთ ყოველს ქალაქში სად ვინ რამდენი ბინადარი და უბინადრო ებრაელია და უბინადრონი იმ ადგილებში გაგზავნეთ, სადაც მიწერილნი არიანო. სწორედ ასევე უნდა მოექცნენ იმ ებრაელთაც, რომელნიც ხელოსნობას ირქმევენ და სხვა საქმეებს-კი ადგიან. იმ ადგილებში, სადაც საერობო უფროსებია, ამ უფროსებს ევალებათ, თვალ-ყური ადევნონ, რომ ებრაელნი არ მივიდნენ და მოვაჭრეობა და ხალხის ყვლეფა არ დაიწყონ. სამინისტრომ განიზრახა, სრულიად მოსპოს ზოგიერთ ებრაელთა ხალხისთვის მავნე და მაზარალებელი მოქმედება. ამ ღონისძიებას ამ ახლო ხანში მოჰყვება ახალი სასტიკი კანონი წინააღმდეგ ყოველგვარის „подъемная (?) торговля“-ისა. სამინისტრომ მიაქცია ყურადღება იმ სხვა-და-სხვა ბოროტმოქმედებასაც, რომელსაც ებრაელები შინაურობაში სჩადიან. აქნობამდე განქორწინების საქმეებს განაგებდნენ სასულიერო და სახელმწიფო რაბინი ერთად, თუმცა კანონიერ ქორწინებად მხოლოდ ის ქორწინება ითვლება, რომლის წესსაც ასრულებს სახელმწიფო რაბინი. ამ გარემოების წყალობით ებრაელებმა მრავალცოლობაც შემოიღეს: ერთს ცოლს რომ შეირთავს ებრაელი და მზითევს დაისაკუთრებს, მზითევისავე გულისათვის ახლა მეორე ცოლს ირთავს და პირველი მისი ქორწინებაც კანონიერად არ ითვლება, რადგან ქორწინების წესი სასულიერო რაბინს აქვს შესრულებული. ამ ჟამად ადგენენ კანონს, რომელმაც უნდა მოსპოს ეს ანგარეობა. განქორწინების დროს ებრაელნი ვალდებულნი იქნებიან, ცოლებს მზითევი დაუბრუნონ ხოლმე და ვიდრე არ დაუბრუნებენ სხვასთან ქორწინების ნება არ ექნებათ.

სამარყანდი. კაპიტან ბარშევსკის ექსპედიცია დღეს გაემგზავრა სამხრეთ ბუხარასა, პამირსა და კაფირისტანში. ექსპედიცია 4 თვემდე გასტანს. ექსპედიციას ჰსურს ზოგიერთი ადგილი გამოიკვლიოს, გადაიღოს მისი ფოტოგრაფიული სურათები და კოლექციები შეადგინოს.

### 6 მაისი

მოსკოვი. გუშინ აქ საგანგებო მატარებლით მობრძანდა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი დიდი მთავარი სერგი მეუღლითურთ. ნიკოლოზის რკინის გზის სადგურზე დიდის ამბით მიეგებნენ წარჩინებულნი და სხვა-და-სხვა უწყების წარმომადგენელნი. ქალაქის თავმა პურ-მარილი მიართვა და შემდეგის სიტყვებით მიესალმა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დიდო მთავარო, თქვენის მეუღლითურთ. დიდის სიხარულითა და სიყვარულით გეგებებით. დაიცევ, დიდო მთავარო, ანდერძი წარსულისა და ისე შეიყვარე პირველ-ტახტოვანი მოსკოვი, როგორც გულ-მხურვალედ ჩვენ გვიყვარს მეფე და ჩვენი სამშობლო“. ივერიის მღვთის მშობლის პატარა ეკკლესიასა და მიძინების ტაძარში ლოცვას შემდეგ მათი უმაღლესობანი გაემგზავრნენ ჩუდოვის მონასტერში. წინ მიუძღოდა მიტროპოლიტი და უმაღლესი სამღვდელოება მგალობელთა გუნდითურთ. მგზავრობის დროს ზარი ირეკებოდა. ემთხვივნენ რა წმიდა ნაწილებს, მათი უმაღლესობანი შიგნითის კარით ნიკოლოზის სასახლეში შებრძანდნენ. სასახლის წინ მოედანზე ხალხი დიდის ამბით მიეგება მათ უმაღლესობას და დიდს ხანს არ დაიშალა. საღამოს მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

### 7 მაისს

იოკოღამა. (პირდაპირ მოსული დეპეშა დილით, 11 მაისს ახალის სტილისას). მემკვიდრე ცესარევიჩი წაბრძანდა ამალით კიოტოდამ ოტსუს. მისმა უმაღლესობამ ისაუზმა გუბერნატორთან და შემდეგ წაბრძანდა ბიევის ტბის სანახავად. გზაზედ მრავლად

---

მდეგება და ექიშპება სამერმისო ნატვრა-სურვილს, იდეალს. ეწინააღმდეგება, ექიშპება, მაგრამ ამავე დროს სჭედავს ისეთს მახვილს, რომელიც თვითონ მასვე გარწყმედავს და იმის ალაგს დაიჭერს მისივე მოდარაჯე მერმისი.

აი ამიტომ ვისაც მერმისისათვის უნდა იმუშაოს შეგნებით, ამ მახვილის გაჭედვას უნდა ეხმარებოდეს. სხვა სიტყვებით ასე გამოითქმის ეს აზრი: უნდა გავაძლიეროთ ის საკეთილო თვისებანი აწმყოსი, ურომლისოდაც ვერ დამყარდება სასურველი და სამართლიანი წეს-წყობილება.

ჩემის აზრით, ის კაცი მერმისის კაცი არ არის, ვინც ოცნებობს, აწმყოს ადგილას პირდაპირ წარსული გაამეფოს და თვისს იდეალებს ეძებს ძველ საფლავებსა და აკლდამებში. მხოლოდ რეაქციის კაცს, ისეთს კაცს, რომელსაც თვითონაც არ ესმის რიგიანად, რას ეტანება და რა სწადიან, შეუძლიან ასეთი, რამდენადაც აუსრულებელი, იმოდენად მავნებელი და დამღუპველი იმედები იქონიოს. ერთის უვარგისისა და უსრულის მაგიერ მეორე უფრო უვარგისისა და უსრულის წეს-წყობილების დამყარება ისეთივე უკუღმართობაა, ჩემის აზრით, როგორც ის, რომ ჰფიქრობდე ისეთს სამოთხეზე, რომელშიაც არავითარი სამოთხის შესაფერი ნეტარება არ არის.

ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე ასეთის ვრცელის წინასიტყვაობისათვის. იქნება ისე ძლიერ აღარ დამემდუროთ შემდეგ, როცა დაინახავთ, რომ ეს წინასიტყვაობა ცხადად არკვევს იმ თვალთა-ხედვის ისარს, რომლითაც მინდა განვიხილო საგანი ამ წერილისა.

რაკი ჩვენს დედა-კაცებზე ჩამოვაგდებთ ლაპარაკს, ან უნდა ვსთქვათ, რომ ცოტად თუ ბევრად კმაყოფილნი ვართ და ვსჯერდებით მათს ეხლანდელს ყოფასაო, ან უნდა ავუხსნათ მკითხველს, რა მიზეზით არ მოგვწონს და რატომ არ ვსჯერვართ ამ ყოფა-მდგომარეობას. მაშასადამე ორსავე შემთხვევაში უიმისობა არ იქმნება, რომ არ შევადაროთ ეხლანდელი და უწინდელი ქართველი დედა-კაცი იმ მერმისის ტიპს ქართველის დედა-კაცისას, რომლის გამეფება ჩვენს ცხოვრებაში სწორედ რომ დიდი და ძვირფასი შეძენა იქმნება ჩვენის ქვეყნის ზრდა-წარმატებისათვის

ამის გამო საჭიროდ დავსახეთ, რომ რამდენისამე კალმის მოსმით ცხადად გამოგვეთქვა, როგორ ვუცქერით საზოგადოდ წარსულს, რათა მით ჩვენი თვალთა-ხედვის ისარიც ამ წერილის საგნის შესახებ გარკვევით გამოგვეცხადებინა. ეს თითქო მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენში ყველას მწვავედ ხვდება გულზე ჩვენის წარსულის შესახები ლაპარაკი და მეტადრე ის, თუ ვინ როგორ უცქერის ამ წარსულს. ჩვენს პუბლიცისტიკაში ეს საგანი მეტად საფრთხილო და საჩოთირო სალაპარაკოა. მრავალი მკითხველი ამ საგნის შესახებ დიდად ყურ-მახვილია და გულ ჩჩვილი. ყოველს უხერხულად გამოთქმულს აზრს, ანუ ყოველს უმართლოდ გაგებულს ფრაზას შეუძლიან ეჭვი დაჰბადოს და მკითხველებმა აღარ ირწმუნონ გულწრფელობა ერეტიკოს — ავტორისა. თუ, ერთის მხრით, ასეთი ყურმახვილობა და გულ-ჩვილობა, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, სასიამოვნოა და მოსაწონი, მეორეს მხრით, უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს ამბავი დიდად სამწუხარო თვისებაა ჩვენის საზოგადოებურის აზრისა. უკეთუ სიყვარული სამშობლოსი და მისი სამსახური შესაძლოა მხოლოდ იმ სახით და იმ გვარად, როგორც ამას მოითხოვს სტიქიონებრ შემუშავებული საზოგადოებური მიმართულება, ასეთი ჩვენი ყოფა რითი ემჯობინება იმ ყოფას, როცა შეგიძლიან ილოცო და ევედრო ღმერთს მხოლოდ იმ ენაზე, რომელზედაც ნებაა დართული, შეგიძლიან ილოცო და ევედრო ღმერთს მხოლოდ ერთნაირის წესითა და არა სხვა ნაირითა. ჩემის აზრით კი, ღმერთი ისე დიდია, სამშობლო და მისი სიყვარული ისეთი წმინდა რამ არის, სამსახური სამშობლოსი და მოღვაწეობა მისის მერმისისათვის ისეთი ყოვლად რთული და საყურადღებო საქმეა, რომ არავინ არ უნდა ჰბედავდეს თქმას, რათა არ შესცდეს: მარტო მე მეკუთვნის და მე მაქვს ხელში ის რაღაც უცნაური და ვითომ ერთადერთი თილისმა, რომლის შემწეობითაც შესაძლოა დაძლეულ იქმნას ყოველივე დაბრკოლება, რომელიც-კი დახვდება შემდეგ ჩვენის ქვეყნის თავისუფალს ზრდა-წარმატებასაო.

გ. მაიაშვილი.

იდგნენ პოლიციელები. მათ შორის ერთმა ამოიღო ხმალი, მივარდა მემკვიდრე ცესარევიჩს და დაარტყა თავში. ხმალი ქუდს მოხვდა და იმიტომ ძლიერ ეღარ გასჭრა. მემკვიდრე ცესარევიჩს მხოლოდ ორი ჭრილობა აღმოაჩნდა შუბლზე. ბოროტ-მომქმედი, ცხადია ფანატიკოსი, წააქციეს და შეიპყრეს. ამასობაში დასჭრეს კიდეც. მემკვიდრე ცესარევიჩს მაშინვე შემწეობა აღმოუჩინა მკურნალმა. ჭრილობა მემკვიდრე ცესარევიჩისა სუბუქი აღმოჩნდა და მცირე მოსვენების შემდეგ მისი უმაღლესობა ისევ კიოტოს დაბრუნდა. მივიდა თუ არა ეს სამწუხარო ამბავი ტოკიოს, იაპონიის იმპერატორმა უბრძანა პრინცს კატაშირაკავას დაუყოვნებლივ წასულიყო კიოტოს და თან წაეყვანა მკურნალები, თავადაც, ღრმად შეძრწუნებული ამ ამბით, გაეშურა კიოტოს. მეორე დილით და 13 მაისს ინახულა მემკვიდრე ცესარევიჩი. მისმა უმაღლესობამ სთქვა, რომ ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით უნდა დავბრუნდე გემს „Память Азова“-ზედო. ეს ამბავი მწუხარებით მიიღო, როგორც იაპონიის იმპერატორმა, ისე საზოგადოდ ყველამ. როცა მემკვიდრე ცესარევიჩი ემზადებოდა გემზე დაბრუნებისათვის, იაპონიის იმპერატორი ბრძანდებოდა კობეს. ზემოხსენებულმა ამბავმა დიდად ააღელვა და დიდს მწუხარებაში ჩააგდო იაპონიის ერი; ყველგან, სადაც-კი ჰნახავდნენ მემკვიდრე ცესარევიჩს, გულ-წრფელობითა და გულ მხურვალებით ეგებებოდნენ დიდს სტუმარს. იმპერატორიცა, წარჩინებულნიცა და ერიც დიდად დაალონა იმ გარემოებამ, რომ მისს უმაღლესობას ეღარ შეეძლო დათვალიერება ქვეყნისა; მაგრამ რაკი შემდეგ გაიგეს, მემკვიდრე ცესარევიჩი უკეთ ბრძანდებაო, ყველას იმედი მიეცა, რომ მისი უმაღლესობა ისე არ წაბრძანდება იაპონიიდგან, ტოკიო არა ჰნახოსო.

ბერლინი. ტოკიოდამ იუწყებიან, რომ იაპონიის იმპერატორმა გამოსცა რესკრიპტი. ამ რესკრიპტში გამოთქმულია დიდი მწუხარება მემკვიდრე ცესარევიჩის მოკვლის განზრახვის გამო და ნაბრძანებია, რაც შეიძლება მალე იქმნას დასჯილი საზიზღარი ბოროტ-მომქმედი, რათა მით მეგობრობა ჩვენი და ჩვენის მეზობლის სახელმწიფოსი არაფრით არ იქმნას შებღალული.

პეტერბურგის ბი... ... მაისს

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 76 | 6 73 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 134½ | 135 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 03 | 1 05 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 242½ | — „ | — „ |
| —მეორისა | 222 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 213 | — „ | 216 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 101 62 | — „ | 101 55 |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ხდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით სადამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან გემები ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე.

# განცხადებანი

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც-კი მოეპოება ხელ-ნაწერი საბა ორბელიანის ნაწ. „სიბრძნე-სიცრუე“, გამოუგზავნოს ამხანაგობის ხარჯით გამგეობას, შესადარებლად ერთმანეთთან, რათა გამოცემა ზემოხსენებულის ნაწერებისა ამხანაგობის ხმიერ განზრახული, სრული იყოს, შესწორებული, შენიშვნებით და სხ. შემდეგ დაბეჭდვისა ხელნაწერები დაუბრუნდებათ პატრონთ ამხანაგობისავე ხარჯით.

ადრესი: Тифлисъ, Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. (5—3)

## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (40—37)

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

# პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი, თარ. თ. სახოკიასი | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი ვ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან | 1 | „ |
| ...ამძღვარი ზეცისა | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა | „ | 40 |
| სიბრძნე კატოწრივი | 1 | „ |
| ბრძ... | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა. ყდით | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე. ყდით | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, ანუ მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, ანუ სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა. ყდით | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინისა ოცდა შვიდი სურათით | 10 | „ |
| Книга Калалаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ известныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Белокурова | 3 | „ |
| Сношенія России съ Кавказомъ, С. А. Белокурова | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. | „ | 25 |

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1) „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ | „ | 30 |
| 2) „ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით შ. მღვიმელისა | „ | 30 |
| 3) ლენტის მსგავსნი ქიები ი. თ. | „ | 5 |
| 4) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ღნიაშვილის მიერ წიგნი I. | „ | 30 |
| 5) იგივე, მშვენიერის ყდით | „ | 75 |
| 6) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით | „ | 80 |
| 7) იგივე მშვენიერის ყდით | 1 | 25 |
| 8) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი | „ | 15 |
| 9) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა | „ | 25 |
| 10) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა | „ | 20 |
| 11) „წყალობა“ პოემა მისივე | „ | 20 |
| „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა | „ | 40 |
| 12) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ | „ | 30 |
| 13) რამდენიმე ლექსი ცახელის | „ | 15 |
| 14) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა | 1 | „ |
| 15) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи“ ა. ხახანაშვილისა | „ | 50 |
| 16) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა | „ | 50 |
| 17) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა | „ | 60 |
| 18) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა | „ | 15 |
| 19) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა | 1 | „ |
| 20) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბაშვილისა | 3 | 50 |
| 21) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა | „ | 75 |
| 22) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით | „ | 80 |
| 23) იგივე უყდო | „ | 60 |
| 24) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით | „ | 70 |
| 25) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა | „ | 20 |
| 26) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა | „ | 20 |
| 27) „ძველის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| 28) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| 29) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა | „ | 20 |
| 30) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა | „ | 40 |
| 31) ქანნა—დარკ | „ | 5 |
| 32) ბერლინის გარემოცვა | „ | 5 |

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ: *Тифлисъ*. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“ Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.

Доз. Цен. Тифлисъ, 7-го Мая 1891 г. Типографія Я. А. Мансветова, на Лорисъ-Мелик ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.